№ 160

ხუთშაბათი 29 ივლისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 160

ხუთშაბათი, 29 ივლისი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის ზემოდამ.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—13)

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

### ექიმი
### კ. ს. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით
ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—43)

## ახალი ამბავი

*** 27 ივლისს პეტერბურგიდგან ტფილისში დაბრუნდნენ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდ. ალმ. გენ.—მ. საგინაშვილი და გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი.

*** პროფესორი ა. ს. ხახანაშვილი გაემგზავრა ტფილისიდგან კიევს არქეოლოგთა კრებაში მონაწილეობის მისაღებად.

*** რადგან ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო ქონებათა საერო გარდასახადის განაწილება ზოგიერთის მხრით შეუფერებელი აღმოჩნდა, ამის გამო ტფილისის სახაზინო პალატამ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს მიანდო ამ განაწილების გასწორება.

*** ნ. ე. ზუბალოვის ანდერძის აღმასრულებელთ გარდასცეს ქ. ტფილისში ნ. ე. ზუბალოვის სახელზედ ქ. ტფილისის შეუძლებელ მცხოვრებთათვის თავშესაფარის დასაარსებლად 276,085 მანეთისა და 17 კაპეიკის პროცენტიანი ქაღალდები, 34,501 მან. და 29 კაპ. ნაღდი ფული, გარდასაცემია კიდევ 10,000 მან. ნაღდი ფული; ზემო აღნიშნულ ფულისა და ბილეთების გარდა გარდახდილია აგრეთვე ქალაქის ხვედრი სახაზინო გარდასახადი 30,760 მან. და 56 კ. ამასთან ქ. ტფილისს გარდაეცა დიდ ეზოიანი სახლი არსენალის ქუჩაზედ ნ. ე. ზუბალოვის სახელზედ თავშესაფარის გასამართავად.

*** მიწად-მოქმედების სამინისტრომ სთხოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, ცნობები მოგვაწოდეთ კავკასიაში ბალახის თესვის შესახებაო.

*** მომავალის წლის ივლისს პარიჟში მოხდება საერთა შორისო სამეურნეო კონგრესი. ეს კონგრესი რიცხვით მეექვსეა. კონგრესი შვიდ სექციად იქნება გაყოფილი. პირველმა სექციამ ის საგნები უნდა განიხილოს, რომელნიც სამეურნეო ეკონომიას შეეხებიან, მეორემ—გამოსაცდელ სადგურებისა და მინდვრებისა, მესამემ—მელიორაციისა, მეოთხემ—ცხენისა და საზოგადოდ საქონლის მოშენებისა, მეხუთემ—მეურნეობის ტეხნიკისა, მეექვსემ—სპეციალურ კულტურისა და მეშვიდემ—მავნებელ მწერების ამოწყვეტის და სასარგებლო მწერების გამრავლების შესახებ. ურიგო არ იქნება ამ კონგრესში ჩვენმა მეურნეებმაც მიიღონ მონაწილეობა.

*** როგორც ვუწყით, კახეთის მევენახეთ განიზრახეს დააარსონ სეტყვისაგან ვენახებისა და პურის ყანების საურთიერთო დამზღვევი ამხანაგობა. ამ ჟამად, როგორც „ახ. მიმ." ატყობინებენ, კავკასიის სოფლოქსერო კომიტეტის ინსტრუქტორს ბ-ნს პერვს, რომელსაც მევენახეთა კრებამ მომავალ ამხანაგობის წესდების შედგენა მიანდო, უთხოვნია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის, გამომიგზავნეთ საზოგადოების ხელთამყოფი მასალა ამ საგნის შესახებ და ასეთ ამხანაგობათა წესდებანიო.

*** ტფილისის 1-ლ ვაჟთა გიმნაზიის მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მისაღები ეგ-

---

## ფელეტონი

### განქიქება და განმარცვლა

II

ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე.

„დავითნი".

(შემდეგი *)

ეს ლოცვები აქ განგებ აღვნიშნეთ. ამბობენ, ამ დროს ქართველებს ანბანი არა ჰქონდათ და ამ ლოცვებსაც ვერ დასწერდნენ და ანუ ვერ დააწერინებდნენ ვერც წმ. ნინო და ვერც წმ. მირიანიო. „ქართველთ მოქცევა"-ცა და ეს ლოცვებიც შეთხზულია მერმინდელ დროსაო, მაგ. მე-VII—IX საუკუნოებშიო, ე. ი. მაშინ, როდესაც დაიწერა წმ. აბოს ცხოვრება და სხ. წიგნებიო.

ამის მთქმელები, გვგონია არ აკვირდებიან თვით ენას დაწერილისას. ვთქვათ, ეს ლოცვებიცა და „ქართლის მოქცევა"-ც ნაშთია მე-VII—IX საუკუნისა, ვსთქვათ, ამ დროს პირველად გაჩენილა ქართული ანბანი და ამ დროსვე დაწერილა პირველი ქართული წიგნი. აბა ახლა ნახეთ და დააკვირდით ამ პირველ წიგნის ენას!

უოკლოდ განვითარებული ხერხი აზრის აღნაქსვისა.—უოკლოდ განვითარებული წეს კანონი წინადადებათა შეკავშირება შეკსოვისა.—დაუწუნებელი წყობა სიტყვათა მომდინარეობისა უღრეს და უზენაეს ცნებათა გამოსახატავად.—სრული და უოკლოდ თავისუფალი ენამზეობა და მუსიკა ნაწერისა!

ესეთია ნიშან-ხატი ამ „პირველ" ქართულ წიგნისა!

მითხარით ახლა, მე VII—VIII საუკუნის წიგნი შეიძლება იწოდოს „პირველ" ქართულ წიგნად? არ შეიძლება. ამგვარის ქართულით ნაწერი ძეგლი რაოდენიმე თაობისა მაინც უნდა იყოს, ამგვარი „პირველი" წიგნი ისეთის მუსიკით, ენამზეობითა და ანუ გრამატიკულის კანონი რებით არ იწერება, როგორც ჩვენ ვხედავთ ხსენებულ საუკუნეებში დაწერილ ქართულ ძეგლებს.

ჯერ დღესაც სახარებას ვერ გადასთარგმნით თუ გინდ ლეკურს ენაზე ისე, რომ ამ ენაში მოიპოვოთ ყოველი სახსარი ქრისტეს სწავლის გამოსათქმელად!

და ჩვენს „პირველ" წიგნში კი ესრეთი „უპოვრობა" არ არის.

მაშასადამე, ამ „პირველ" წიგნს გამოვლილი ჰქონია არა ერთი თაობა, არა ერთი სკოლა.

და აგერ ჩვენი მატიანეც გადმოგვცემს, რომ წმ. მირიანს „ნებროთიანი" ჰქონდაო, წმ. ნინომ თვისი ცხოვრება აღწერაო, აბიათარ მღდელმა და სიდონიამ დასწერეს ძველი გარდმოცემა შესახებ უფლის კვართისა, ქრისტეს ჯვარცმისა და სხვა, ვახტანგის დედას სჯულის მეცნიერ კაცებმა სახარება უთარგმნეს, თვით წმ. მირიანმა შვილს დაწერილი ანდერძი დაუტოვაო და სხ.

აქ ჩვენ ნება-უნებლიედ გვაგონდება უცხოელ მწერალთა ნათქვამი ქართველთა ტომ-მოდგმის შესახებ.

ეგვიპტელებს საქართველოდგან გაჰქონდათო (XVII—XIV ს. ქრ. წ.) ოქრო, კალა, ტყვია, რკინა, ბრინჯაო უაღრესის ხარისხისა, ფოლადი, „რომლის შემუშავება მაშინ არც ერთ სხვა ერმა არ იცოდაო და აქ კი ფოლადის შემუშავება იცოდნენ უხსოვარ დროითგანვე" *), აქაური სელი, საღებავები, წამლები, აქაური კრამიტით დახურული სახლები, ქსენონები, ერის სტუმართ-მოყვარეობა, სიგმირე და საზოგადოდ მთელი მისი ყოფა-ცხოვრება შემკულია არა ერთის ბერძენ-რომაელთა მწერლისაგან.

აპოლონ როდოსელის (250—200 ქრ. წინ.) მოთხრობიდამ სჩანსო, ამბობს რიტტერი, რომ რუკათა შედგენის ხელოვნება კოლხიდელთ უფრო ადრე იცოდნენო, ვიდრე ბერძნებმაო. კოლხიდელებმა თვის წინაპართაგან ფრიად ძველ დროს ისწავლეს ქვის დაფებზედ რუკების ხაზვაო. შემდეგში დაფების მაგიერ ხის დაფებს ჰხმარობდნენო. და ამ დაფებს მათს ენაზედ ერქვა „კირბის", **) სწორედ ის სახელი, რომლითაც იწოდებოდენ 400 წლ. ქრ. წინა დროის კანონები ათინელთაო. ეს დაფები შეიქმნენ დასაწყისად ლანდქარტთაო.

ეს ცოტაა კიდევ. ეს კულტურული ერი დასახლებულია მათისავე სიტყვით ორ ზღვას შუა არეზამდე და კაპადოკიამდე. მას აქვს პოლიტიკური და საალებ-მიცემო დამოკიდებულება ბერძენ-რომაელებთანა და სპარსელებთან და აგრეთვე სარწმუნოებრივი ერთობაც. 1-ლს საუკუნეში ფარსმან ქველი ჰფლობს თვით სომხეთსაც. 188 წელს რომს მგზავრობს მეფე ფარსმანი თავის მეუღლითურთ. ნუთუ ამ გვარ დამოკიდებულებას, ამგვარ ყოფასა და კულტურულს წარმატებას არ შეეძლო განევითარებინა თვით ქართული ენაც და არავისთვის არ ჩაეგონებინა საჭიროება მშობლიურ მწერლობის გაწყობისა? ოლონდაც!

ქართველებს მრავალი ტაძრები და სალოცავები ჰქონდათ. თვისი ქურუმები, დასტურები და ქურუმთ უფროსები. სალოცავებში ღამის თევით ლოცვა იცოდნენ. მშობლიურ ღმერთის გარდა, ჰყვანდათ კიდევ ბერძენთა ღმერთები აპოლონ, არტემი, აფროდიტა, კრონოს და სხ. მზე, ვარსკლავები, ცისკარი, დედა ადგილისა (ტყისა, მთისა, მდინარისა და სხ.) ქართველობის ღმერთებადვე ითვლებოდნენ. ყველა ამათთვის რომ საკუთარი საგალობლები ექნებოდათ, ამის დამტკიცება საჭირო არც-კი არის, თუ მოვიდებთ მხედველობაში დღემდის დარჩენილ წარმართულ „კერპთ" სახუცებს ფშ-ფშავ-ხევსურებისას, სვანებისას და აფხაზებისას, და აგრეთვე ზოგიერთ სიმღერებსაც ანუ სიმღერეების დაბოლოებათ. გურული „ავუნა" მოგვაგონებს ქართულს ღმერთს გაიმს ანუ გაინს; „არალე" ანუ მისი მრავლობითი „არნი-არნანე" და აგრეთვე „ია(ვ) ნანო", „(ვარ)-დონანო" უნდა იყოს ნაშთი საგალობლისა, რომლითაც ქართველი უგალობდა თვისს ღმერთებს არეს, აინინას, დანინას. „მზე შინაო"-ს დასაბამი, უეჭველია თავდაპირველად გაინთქვ მზე-ღმერთის არმაზის ანდაზის წინაშე. საკვირველი, ვინ იცის, ჰქონდეს რაიმე კავშირი ჩვენს თარალე, ვარალე, თარლალე, ვარხალე, თარხალე-სთან და მას კი ბერძნულს თარგილია-სთან, ***)

*) იხ. „ივერია" № 158.

*) ფ. ლენორმან. Исторія востока, გვ. 466.

**) კ. რიტტერ. Исторя землевѣд, ვინ იცის, ამ „კირბის" ნაშთი იყოს აწინდელი კარი (კარები=კარ-ფი), რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა სიმტკიცეს, სიმაგრეს შეკვრას, და, მაშასადამე, სჯულდებასაც. მასვე ვადარებ „კერპა", რომელიც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო კერასთვის სჯულმდებელი სალოცავი, მისი ღმერთ.

***) ბერძნულად: tharreo (თარრეო), ვიზედმე ნდობის დამყარება. სასოება; tharraleos (თარრალეოს), მსასოებელი, ახოვანი, მხნე, ჯომარდი, უშიშარი, გულმტკიცე. შესაძლებელია, რომ ჩვენი თარი და ბერძნული კითარა (კი+თარა) ერთი და იგივე

ზამენები დანიშნულია 24 და 25 აგვისტოსათვის. მიღება დანარჩენ კლასებში, ადგილების უქონლობის გამო, სრულიად არ იქმნება. თხოვნები მიიღება 6 აგვისტომდე. განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია 24 და 28 აგვისტოსათვის. სწავლა გიმნაზიაში დაიწყობა 1-ლ სექტემბერში.

*** ძროხისა და ცხვრის ხორცის ახალი ნიხრი (გირვ. 7 კაპ.), რომელიც დამტკიცებულ იქმნა გუბერნიის მმართველის-მიერ, 28 ივლისიდგან ძალაში შევიდა.

*** ქალაქის მიწის მზომელმა ლარიონოვმა ქალაქის გამგეობას განუცხადა, რომ ნაძალადევის მცხოვრებთ ს. ბ—შვილმა და ფ. გ—ვისამ ქალაქის ადგილი მიითვისეს. მითვისებულ ადგილის სიდიდის შემოწმება გამგეობამ ქალაქის ტეხნიკოსს მიანდო.

*** 25 ივლისს, დილის 5 საათზედ, გროზნოს სატუსაღოს ეზოში ჩამოარჩვეს ჩაჩნები ჩორტაევი და ზანდაკაევი, რომელთაც გარდაწყვეტილი ჰქონდათ ეს სასჯელი ტფილისის სამხედრო ოლქის სასამართლოს მიერ ყაჩაღობისა და 3 კალმიკის მოკვლისათვის. ჩორტაევმა და ზანდაკაევმა დამნაშავედ არა სცნეს თავი არც სასამართლოში და არც დარჩობამდე. ერთს ჩამოარჩობილთაგანს, „კაზბეკის“ სიტყვით, მხნედ სჭერია თავი და თვითონ ავიდა სარჩობელაზედ. მეორე-კი თითქმის მიუტანიათ სარჩობელასთან. ჩამოხრჩობილთა გვამები იმავე დღეს ნათესავებისათვის გარდაუციათ.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ ქუთაისიდგან ატყობინებენ, რომ ადგილობრივ სავუბერნიო ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას 8,525 მან. იმ მემამულეთა დასაკმაყოფილებლად, რომელთა ადგილებზედაც გაყვანილია ნაქერალას გზა სადგ. ტყიბულიდგან ნაქერალას უღელ-ტეხილამდე.

*** დუშეთი. აქ წარმოდგენა გამართეს, მაგრამ რადგანაც საქველმოქმედო მიზანი არა ჰქონდა, საზოგადოება ცოტა დაესწრო. წარმოდგენამაც უხეიროდ ჩაიარა, ვინც მოთამაშენი არიან, იმათ არ მიიღეს მონაწილეობა, და ვინც შეებნენ სათეატრო უღელში, ისინი სცენის ხამნი იყვნენ.

აქ შესდგა ქალთა და ვაჟთა მგალობელი გუნდი, რომელიც მალე მომავალში აპირებს ცხეთის ტაძრის განსაახლებელ თანხის სასარგებლოდ კონცერტის გამართვას.

*** ჩვენ მივიღეთ მეხუთე ნომერი კრებულისა. შინაარსი ამ ნომრისა: პირველი განყოფილება: ვახტანგ გორგასლან. ლექსი აკაკისა. კუდაბზიკეთი. (ზღაპრული მოთხრობა) მისივე. კრიტიკული წერილები, ხელოვნური ლიტერატურა. გ. წ.-სა. ქართული მგელი თქმულება. თრითინა. თარგმ. კნ. ალ. მელიქოვისა. საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი. (გაგრძ) მ. ჯანაშვილისა. გოტტჰოლდ ლესსინგი, (დასასრული), ხომლელისა. არქეოლოგიური ფურცლები. ვინმე მესხისა. მეორე განყოფილება: ქართველი-კათოლიკენი არტაანის და ჩხალის ხეობაში (მოხუცებულთაგან ნაამბობი ამბები) ზ. ჭ.-სა. მასალები ქრისტიანობის დაცემის და ისლამის სარწმუნოების გავრცელების ისტორიისა დასავლეთ საქართველოში. (გაგრძელება) მისივე. ცხრა ძმა. (არაკი), ჩაწერილი „ქართველი ოსების“-ს მიერ. მეოთხე მცნება, ებრ. ზღაპარი ჩაწერ. ნ. ია-ნისა.

*** როგორც „კავკ.“ იუწყება, მეტივენი ამ ჟამად დიდად შევიწროებულნი არიან პეტრეს მაკაროვის-მიერ, რომელსაც მტკვრის ნაპირი მახლობლად მამული აქვს და რომელიც მეტივეთ ნებას არ აძლევს ტივები გამოატარონ მის ადგილზედ. მას დარაჯებად დაუყენებია ხანჯლებითა და რევოლვერით შეიარაღებული ჩაჩნები. 26 ივლისს ეს დარაჯები შეტაკებიან მეტივეთ და ერთი მათგანი მძიმედ დაუჭრიათ. კიდევ კარგი, რომ მეტივეთ დროზედ მიჰშველებიან და მოუგერებიათ მათგან ჩაჩნები, რომლებსაც თოფების სროლა დაუპირებიათ. ჩაჩნები შეუპყრიათ, ხოლო დაჭრილი მეტივე საავადმყოფოში წაუყვანიათ.

## ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსის ლეონიდის მოგზაურობა წალკა-თრიალეთში.

ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა ინება და მიმოიარა ეს დავიწყებული და ყველასაგან თავ მინებებული მხარე. მცირე გაჭირვებას არ გამოივლიდა მათი მეუფება ამ მიმოსვლაში, მაგრამ ამიტომაც ამ მიმოსვლას ხვავი და მადლი მეტი ჰქონდა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი სოფლიდგან ორ-სამ ვერსის მანძილზედ ჰხვდებოდა. ეპისკოპოსის დანახვის უმალ მუხლს იყრიდა მის წინაშე, მერე აცილებდა ეკკლესიამდე და აქ, დაწესებულ ლოცვის შემდეგ ისმენდა მშვენიერ მოძღვრებას მათის მეუფებისას და მოწიწებით იღებდა მისგან ლოცვა-კურთხევას. უნდა გენახათ, როგორ მოჰყავთ ზურგზედ აკიდებულნი უძლურნი და დიდის ხნის ავადმყოფნი, როგორ ჩამწკრივებულნი და მწოლიარენი ყოველ ეკკლესიის კარზედ სასოებით ელოდნენ მისი მეუფების ლოცვა-კურთხევას უძლურნი, ბრმები, კოჭლნი, დავრდომილნი, და მაშინ მიჰხვდებოდით, თუ რა სასოება შეჰრჩენია ხალხს ამ მიყრუებულ მხარეში. არც ერთი მრევლი, არც ერთი ეკკლესია არ დასტოვა ეპისკოპოსმა უნახავი და ყველგან ხალხი გულდასმით ისმენდა მის დარიგებას... დაათვალიერა მან წალკის თავს მდებარე ქართველების სოფელი რეხა; თავისი თვალით ჰნახა, თუ მამა-პაპეული საუნჯე ქართული სახარება როგორ იყო კუნჭულში მისვენებული, ხოლო ბერძნული სახარება, რომელიც არც მღვდელს ესმის და არც ერს, ტრაპეზზედ ესვენა. ხალხმა შესჩივლა თავისი გაჭირვება: „მღვდელი ჩვენთვის გაუგებარ ენაზედ ლაპარაკობს; ჩვენი მაგას არ ესმის, მაგისი ჩვენ და ქართველი მოძღვარი გვაღირსეთო“. ეპისკოპოსმა უბრძანა მღვდელს ეშოვნა ბერძნის მრევლი, ხოლო ხალხს შეჰპირდა ქართველის მღვდლის გამოგზავნას. ტანჯულ ხალხს ჯერაც არ სჯეროდა, რომ ღირსი გახდებიან ასეთი ბედნიერებისა.

წალკიდგან ცხენით ეპისკოპოსი გაბრძანდა სოფელ სოღუთლოში, ხოლო აქედგან 8 მკათათვეს საშინელ ტყიანი და ხრამიან გზით მიბრძანდა დიდ-გომარეთში. ამ გზას ათიოდ ვერსტი გადუხვია და დაათვალიერა დიდებული სიძველე-ფიდარეთის ტაძარი მდ. ხრამზედ. ხელოვნება ამ ტაძრისა საოცარია და იშვიათი. ამ დღეს ეპისკოპოსმა არა ერთი და ორი ვერსტი გაიარა ფეხით და საღამოს 7 საათზედ აღწია ხრამების თავს ეკკლესიასთან დაჰხვდა დიდი და პატარა. ადგილობრივმა მღვდელმა შემთხვევის შესაფერი მოკლე სიტყვა მოახსენა ეპისკოპოსს.

„თქვენო მეუფებაო! დიადია სულიერი ნუგეში თქვენის მობრძანებისა ამ მიყრუებულ მხარეში, როგორც მღვდელთათვის, ისე მრევლთათვის. თვალ წინ გვეხატება ის ძვირფასი და ნეტარი დრო ძველის საქართველოისა, როდესაც ეპისკოპოსნიც, მწყემსთ-მთავარნიც და თვით კათალიკოსნიც-კი მალ-მალე ლოცვა-კურთხევით, დარიგება-ნუგეშისცემით მიმოივლიდნენ ხოლმე კიდით-კიდემდე სოფლებსა, დაბებსა დ ქალაქებსა საქართველოისას. იკვლევდნენ და ისმენდნენ ყველგან გაჭირვებას სამღვდელოისას, ხალხისას, უჩვენებდნენ მათ სახსარს ხსნისას, ამხნევებდნენ და ანუგეშებდნენ მათ. აჰა, თქვენს წინაშე ვსდგევართ, მეუფეო, დიდნი და პატარანი და ვითხოვთ თქვენს ლოცვა-კურთხევას, ნუგეშისცემა-დარიგებას და თქვენ წმიდა ლოცვებში ჩემი პატიოსანი მრევლის მოხსენებას. მეც ჩემს მრევლთან ერთად მხურვალეთ შევევედრები ზეციურ მეუფეს, რათა მან აკურთხოს გზა-კვალი თქვენი, მიმოსვლა თქვენი. წინ გიძღვნათ მან ანგელოზი თვისი, თანამგზავრი, მცველი და მფარველი, როგორც თქვენი მეუფებისა, ისე ჩემი მრევლისა და ქრისტეს ერის ქართველობისა“.

ეკკლესიაში ტევა არ იყო; ამიტომ ეპისკოპოსი კარში გამობრძანდა და აქ მიჰმართა ხალხს მშვენიერის დარიგებით. კარგა შებინდდა, რომ კიდევ გაისმოდა წყნარი დარიგება ეპისკოპოსისა სმენათ გარდაქცეულ ხალხით სავსე გალავანში. სიტყვის შემდეგ ხალხმა ლოცვა-კურთხევა მიიღო მისის მეუფებისაგან და ჯვარზე ემთხვია—აქვე ურიგებდნენ ხალხს ჯვრებს, წიგნებს და სხ.

X.

## წერილი ქიზიყიდგან.

საშინელი სიცხეებია ქიზიყში. ორი თვე იქნება, წვიმის წვეთი არ ჩამოვარდნილა. იმდენად არის გამშრალი ჰაერი, რომ ღამე ცვარსაც-კი აღარ აგდებს, თუმცა მთელი ზაფხული ცა მოწმენდილ-მოკამკამებულია. ყველანი ცას შეჰყურებენ და წვიმას ევედრებიან ღმერთს. ამ გვალვამ საშინლად შეაწუხა ვენახები. მაგრამ ვენახებს ვინღა ჩივის, როდესაც ფეტვმა, შინაური ფრინველებისა და ღარიბის ხალხის დამპურებელმა თქვენი ჭირი წაიღო. უგანა მხარში თავ-თავი ვერავინ მოსჭრა! წელს ვერც პურისა და ქერის მოსავალი იყო ხე-

---

რომელსაც იგივე უკალობდენ მზის ღმერთს აპოლონს და არტემის. „ოდელია“ (სვანური „დალი“ და ჩაჩნური „დელი“, ღმერთი), შესაძლებელია, იყოს ნაშთი ქალ-ღმერთისა „დაჲრე“, რომლის სალოცავი იყო ქუთაისის ახლოს. დაჲრე მეგრულის გამოთქმით უდრის ქართულს დაა, დაჲ არი, ხოლო ოდელი=სა-დელი, ე. ი. საღმრთო.

რაწამს ცისკარი იხილა მედეამ, ****) ამბობს ძველი დროის მწერალი, დაშლილი ნაწნავები შეიკრა და დაიბანა თვისი ხმელ-ხმელი ლოყები. ხოლო ტანზე იცხო სანექტარო ზეთი. მერე ჩაიცვა ლამაზი სამოსელი, რომელიც ხელოვნურად შეკრული იყო ხრიკებით. ნელსაცხებლით ცხებულ თავზე დაიხურა თეთრი ჩიქილა. შემდეგ დაფაცურდა სასახლეში და 13 გოგო-ქალწულს უბრძანა ეტლში შეებათ ჯორები და წაეყვანათ იგი ჰეკატეს ბრწყინვალე ტაძარში. მოახლეებმა ეგრე ქმნეს, მედეამ ამოიღო სკივრიდამ „პრომეთეოსის“ წამალი-საცხებელი. ვინც ღამის თევით გულს მოიგებს ქალწულ-ღმერთის დაჲრა-ს გულს და ამ საცხებელს იცხებს ტანზე, მას ველარ გაჰკვეთს ხმალი, ველარ ავნებს აღგზებული ცეცხლი და ამას გარდა იმ დღეს ყველას აჯობებს ღონით. ეს წამალ-საცხებელი პირველად მიიღეს მაშინ, როდესაც კავკასიონის მწვერვალებზე არწივის წყალობით დაიღვარა სისხლი უბედურის პრომეთეოსისა. ყვავილი, რომლისაგან ეს წამალ-საცხებელი იწურება, ერთი ალაბის სიმაღლეა, ორი ღერო აქვს და ფესვის ფერი უმის ხორცისა. შავი წვენი ამ ფესვისა, მსგავსი მთის მუხის წვენისა, მედეამ შეაგროვა კასპის ტაძრიდამ მოტანილს ბაკანში და მერე მუდამ ხმარობდა, როგორც წამალს. კოლხთა მეფის აეტის ეტლს ჰმართავდა აფსირტოსი (ალბად აფხაზი) (აფსარი, აფსუა).

მეფე ფარსმან-ქველი რომ სპარსელებმა ღალატით მოკლეს, „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა, წარჩინებულთაგან ვიდრე გლახაკთადმე: იტყებდეს თავთა ყოველნი. და ყოველნი ქალაქთა და დაბნეთა დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, შეკრბიან ყოველნი და ახსენებდიან სიმხნესა და სიქველესა, სიშვენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისასა და იტყოდიან: „ვაჲ ჩუენდა, რამეთუ მოგუძინა სვემან ბოროტმან და მეფე ჩვენი, რომლისაგან ხსნილ ვიყვენით ოხრებისაგან მტერთასა, მოიკლა კაცთა მგრძნებულთაგან და აწ მივეცით ჩვენ ნათესავთა უცხოთა *).

ჰო-და, ვიმეორებთ, ეს მოკლე ნუსხაც ქართულის განათლებისა ეჭვსაც არ ჰბადებს, რომ ნინოს დროს ქართული ენა საკმაოდ განვითარებული იქმნებოდა.

რაიც შეეხება იმ კითხვას, რომ, ვითომ ქართული ანბანი მოიგონა მესროფმა მე V საუკუნეში, ამის უარ-საყოფელი საბუთები ჩვენ კვლავაც აღგვინიშნავს და აქ კიდევ დავასახელებთ ორიოდს.

მ. ქორენელი სწერს:*) „მესროფი წარვიდა-რა ივერთა ქვეყანას, ღვთის მადლით იმათაც შეუქმნა ანბანი დჩახის (Дчахи) დახმარებით. ეს დჩახი (დაჩი!) იყო მთარგმნელი ბერძნულისა და სომხურისაგან. ივერთა მეფე ბაკური და ეპისკოპოსი მოსე შველიდნენ მესროფს. აქ იგი შეჰკრებს ვაჟებს, ორ განყოფილებად ანაწილებს მათ და უწესებს მასწავლებლებს. მერე მიდის ახოანქს (ალბანიას), იგონებს ანბანს გარგარაცთათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ მიდის გარდმანს, საცა მწვალებლობისაგან მოაქცევს მის მთავარს ხუ-სის. მერე მიდის ტაშირს (ბორჯომს) „ბდეშხის“ აშუშას მიწვევით და იქაც იღებენ მის სწავლას. „ამ დროს საქართველოში მეფობდა არჩილი“ (Арчилъ). სპერში (ისპირს) სკოლების უფროსებად ადგენს ლეონტისა და ენოხს. ლეონტი და ქორიუნი ბიზანტიას მიდიან სწავლის მისაღებად“.

ეს ცნობები ფრიად საყურადღებოა არა თუ მარტო ქართული მწერლობისათვის, არამედ თვით ყბად აღებულ მოსე ქორენელის დროის გამოსაძიებლადაც. მესროფის მიერ სომხურ ანბანის მოგონება დადებულია 404 წელს. აბა ახლა თვალი გადავავლოთ ქორენელის ნათქვამს.

„ქართველთა მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი მესროფს შველოდნენო“. თუ ბაკური მეფე იყო, იქნებოდა ასბაკური, რომელიც, ბერძნების წყაროებით, საურმაგთან ერთად მეფობდა 364—374 წლებში. გამოდის, ჯერ მესროფს უმოღვაწნია საქართველოში ამ ბაკურის ჟამს და მისის შველითა და აგრეთვე დჩახისა და მოსე ეპისკოპოსის შემწეობით გაუმართავს ქართული ანბანი და მერე წასულა სომხეთს და იმათთვისაც მოუგონია სომხური ანბანი! გარნა ყალბის მქნელი კი გვარწმუნებს, ჯერ სომხური მოიგონა და მერე ქართულიო. და რადგან სომხური მოუგონია 404 წელს, მაშ ქართულის მოგონება სხვა ბაკურის დროს მომხდარა. ხოლო ბაკურ მეფე მეექვსე საუკუნემდის აღარ გვხვდება.

„ბუგარქის ბდეშხმა აშუშამ თავის ტაშირის სამფლობელოში მესროფი მიიწვიაო“. აშუშა „ბდეშხი“ მე IV-V საუკუნოებში არა გვხვდება. გარნა აშუშა (იგივე არშუშა) შატბერდის კრებულით კურატპალატობს შემდგომად გურამისა (+648 წ.), წმ. ესტატე მცხეთელის ცხოვრებით კი იგი „პიტიახშობს“ (პიტიახში=ბდეშხი). იქა სწერია: აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი (671—677) და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხვანი სეფეწულნი და მარზაპანსა ჰრქვეს“...

მართლაც, პიტიახშები ქართლისა ჰფლობდენ ტაშირსა დ სურამს დ ითვლებოდენ სპასპეტებად მხედრობისა.

მე IV—V საკუნეში არა გვხვდებიან აგრეთვე მოსე ეპისკოპოსი და დჩახი; ვფიქრობთ, რომ ქორენელის ნაჩვენები მოღვაწენი ლეონტი და და ენოხი ისპირელნი, ხურსი, მთავარი გარდაბანისა და ქორიუნი აგრეთვე არ იყვნენ ქართველები. ისპირი და გარდაბანი საქართველოს პროვინციები იყვნენ. ხურსი და ხურსიძენი რომ ქართველები იყვნენ, ეს სჩანს მცხეთის მე XI საუკ. სიგლით. და თუ ესრეთი ჩვენი ფიქრი შესაწყნარებელია, მაშინ აღნიშნული სახელები ისევ მე VI—VII საუკუნეს მიგვიყვანენ.

თუ დჩახი დაჩია, ამ სახელით ორს მოღვაწეს ვიცნობთ: ერთი დაჩი იხსენიება სვიმონ კათალიკოზის (VIII საუკ.) ჟამის წირვაში და ამასთანავე აგრეთვე მწერალი მოსეც, და მეორე დაჩი მე IX—X საუკ. და ეს უკანასკნელი მართლაც სთარგმნიდა წიგნებს სომხურიდამ. ხურსი და ხურსიძენი თუმცა პირველად მე-XI საუკუნეს გვხვდებიან, გარნა

---

მუსიკალური საკრავი ყოფილიყო თავდაპირველად.

*) განი, 1, გვ. 50—51.

*) ფარსმან ქველის გლოვას იხსენიებს მეფე ვახტანგ VI თავის ბიძისა (გურგენსანის), მამისა (ლევანის) დატირებაში. ეს დატირება უმაღლესად განვითარებული მჭევრმეტყველებაა ქართულ სამგლოვიარო რიტორობისა (იხ. საეკლ. მუზ. ხუცურად ნაწერი სიგელი № 871).

**) მ. ქორენელი, გვ. 211, 218—219.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიანი: ჯერ იყო და თხელი მოსავალი იყო, მაგრამ რაც მოვიდა, ისიც ჯერ გაძლა ხვირიანად უდროვო დროს დაყინებულ წვიმისა და გვალვისაგან. ქიზიყში მცირე მოსავალმა მთელს კახეთში ასწია სულადის ფასი, რადგანაც კახეთიცა და მთის ქართველობა — თუშ-ფშაველები და აგრეთვე ლეკები — ქიზიყიდგან მიდიან იოლად. მოსავლის დამცირება ყველაზედ მეტად შეეტყო ჯერ-ჯერობით ქერს. მაშინ როდესაც წინა წლებში ჩვენი როდშილდი — ბ. ოთაროვი ფუთს აბაზადა და ხუთშაურად სჩაფავდა თუქურმიშაში მოტანილს, წელს ათ შაურს თავისი ხელქვეითების პირით იხვეწებოდა, ხოლო შემდეგ და ეხლაც ფუთს სამ აბაზად იღებს. თუმცა ამ მოუსავლობასა და მუშას სიძვირეში (ქერში მუშა დღეში ფასობდა 1 მან.—1 მ. 20 კაპ.), ბევრი არ არის, მაგრამ წინა წლებით გულ-გატეხილებს სამი აბაზი კარგ ფასად მიგვაჩნია.

ქიზიყის ბავშვები ძალიან შეაწუხა და შეათხელა ყვავილმა, წითელამ და მეივანა ხველამ. ს. მირზაანში მარტო ერთს გლეხს მოუკვდა სამი კაცშვილი და ერთი ქალი ყვავილისაგან. სხვისა თუ არა, ამ სენის თავიდგან აცილება შეიძლებოდა სრულიად, მაგრამ, როგორც ეტყობა, ყველას არ აუცრია, თუმცა გაზაფხულზე ამცრელები დადიოდნენ. ზოგს ეს ურწმუნოებისაგან მოუვიდა და ზოგს სიღარიბისაგან — ამცრელი თითოს აცრაში ხუთ შაურს თხოულობდაო, — მითხრეს. ეხლა-კი გვეშველა და, იმედია, ყველა ავადმყოფობას მალე მოეღება ბოლო, რადგან მაჩხაანში დაარსებულ ქსენონის ექიმი თ. ა. ნ. დიასამიძე და მისი ფერშალი კიდევაც მოვიდნენ და შეუდგნენ ხალხის წამლობას, თუმცა ქსენონი ოფიციალურად ჯერ არ გახსნილა. იმედი გვაქვს, ჩვენი ახალგაზდა ექიმი მხნედ და გულმოდგინედ მოეკიდება თავისს მოვალეობას და მით დაუმტკიცებს ზოგიერთა ურწმუნო ქიზიყელებს, რომ კარგი წამლობა მეტად ამცირებს როგორათაც ყოველ გვარ სენს, აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარ ავადმყოფობის მსხვერპლს.

ი. გ—რი

# რუსეთი

— კარგა ხანია ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას ყველა ის სასაფლაოები, რომლებიც თვით ქალაქშია და არა ქალაქს გარედ. ეხლა გაზ. „Кур"-ი იუწყება, რომ ამ საგანს მთავრობა ახლო მომავალში გადასწყვეტსო.

— შემოდგომაზედ, იმავე გაზეთის სიტყვით, ყველა ეპარქიაში ლაპარაკი იქმნება აღძრული იმის შესახებ, რომ 1900 წლის პირველ იანვრიდგან ამ ეპარქიებთან დაარსებულ იქმნას ურთი-ერთ დამხმარებელი კასსები სამრევლო საეკკლესიო სკოლების მასწავლებელთათვის.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, სამრევლო-საეკკლესიო ერთ-კლასიან სკოლებში მომავალის სამოსწავლო წლიდგან ორის წლის სწავლების კურსის ნაცვლად სამის წლის კურსი იქმნება შემოღებული. ეს რუსეთში. ხოლო იმ ადგილებში, სადაც არა რუსნი სცხოვრობენ, ოთხის წლის კურსი იქმნება შემოღებული.

— როგორც „Русск. Вѣд."-ი იუწყება, ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს 1902 წელს ურალში უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი დაარსოს.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** „Figaro"-მ დაჰბეჭდა იმ წერილების შინაარსი, რომლებიც დრეიფუსს გამოუგზავნია ეშმაკის კუნძულიდგან პალატისა და სენატის პრეზიდენტებისათვის. იმ წერილებისათვის მაშინდელ მინისტრ-პრეზიდენტს მელინს არ მიუცია მსვლელობა და დანარჩენ საბუთის ქაღალდებისათვის მიუკერებიათ. შემდეგ იმავე გაზეთში დაიბეჭდა დრეიფუსის წერილები, რომელნიც 1897—98 წლებში რესპუბლიკის პრეზიდენტთან და სამხედრო მინისტრთან იყო გამოგზავნილი. პატიმარი ამტკიცებს ამ წერილებში თავის უდანაშაულობას და საქმის ხელ-ახლა განხილვას თხოულობს. პალატისა და სენატის პრეზიდენტებთან გამოგზავნილ წერილებში დრეიფუსი, სხვათა შორის, ამბობს, რომ 1894 წელს პატი-დეკლამმა მითხრა სამხედრო მინისტრის მაგიერო, რომ რადგან ამას უმაღლესი მოსაზრება თხოულობს, ყველაფრის განსჯა არ შეიძლება ეხლა, მაგრამ ახალი გამოძიება იქმნება დანიშნულიო. როგორც მისი წერილებიდგანა სჩანს, დრეიფუსს სცოდნია, რომ მისი დანაშაულობის დასამტკიცებლად სასამართლოსათვის წარუდგენიათ საიდუმლო ქაღალდები. წერილებით დრეიფუსი თხოულობს ახალს გამოძიებას, რომელმაც სიმართლე უნდა გამოაშკარავოს და მისი პატიოსნება აღადგინოს, რომელიც ასე საჭირო არის მისი ცოლ-შვილისათვის. ის განმეორებით ამტკიცებს, რომ ბორდერო ჩემი დაწერილი არ არის და არც შემეძლო მისი დაწერაო. მეტად საგრძნობელია დრეიფუსის წერილი, გვიანის გუბერნატორთან გაგზავნილი. პატიმარს გაუგია, რომ ამაღამ ბორკილი უნდა შემიყარონო, და გუბერნატორისათვის წერილი გაუგზავნია, რომელშიაც ეკითხება, გამაგებინეო, რა წესი და რიგი დავარღვიე, რომ ასეთი საზარელი სასჯელი უნდა მომადგესო. დასასრულ დრეიფუსი ამბობს: „აქამდისინ მე ვსცოცხლობდი, რათა ჩემი მოვალეობა შემესრულებინა ჩემის ცოლ-შვილის მიმართ. თუ მე უთუოდ უნდა მოვკვდე, უმჯობესია ეს ჩქარა მოხდესო".

— გენ. დე-ბორეპერმა კიდევ გაუგზავნა წერილი რენის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს და სთხოვა, ჩემი გამოძიება დრეიფუსის შესახებ საქმეს მიაკერეთ და კვილ-სინდიოლ-რად მოეპყარითო.

როგორც ვიცით, ბორეპერმა თავისის მხრივ გამოიძია დრეიფუსის საქმე და ოც-და-ათამდე მოწმეს ჰკითხა. წინაზედ ხომ ვიღაც „გოლუამ" მოატყუებია ბორეპერი, რის გამოც სასაცილოდ აიგდეს ეს უკანასკნელი გაზეთებმა, და ეხლაც ერთი მისი მოწმე — ეჟენ კასერი გამოტყდა, რომ ვეხუმრე გენერალ ბორეპერს და იმან-კი ნამდვილ ფაქტად ჩასთვალა ეს ხუმრობაო. ეჟენს უთქვამს მისთვის, რომ დრეიფუსი, როცა ტურის მეციხოვნე ჯარში მსახურებდა, ერთს ბავარელ ურიის ქალს გადაეკიდა და რამდენიმე ასი-ათასი ფრანკი დაახარჯაო. ეჟენის ხუმრობა დრეიფუსის ერთ გამამტყუნებელ საბუთად ჰქონებია დასახელებული ბორეპერს, მაშინ როდესაც დრეიფუსს არა თუ არაოდეს არ უმსახურნია ტურის მეციხოვნე ჯარში, არამედ გზათაც არ გაუვლია თურმე ხსენებულ ქალაქში.

**სერბია.** ბელგრადში ამ ჟამად მილანის წინააღმდეგ შეთქმულთა საქმე ირჩევა. ეს საქმე პოლიტიკური ხასიათის არის და დიდი მნიშვნელობაც ექმნება სერბიის ცხოვრებისათვის. მრავალი გაზეთი ეჭვის თვალით უყურებს ამ საქმეს; ამბობენ, რომ მილანმა თითონვე შეადგინა შეთქმულობა თავისის თავის წინააღმდეგ, რადიკალებისათვის რომ დაებრალებინა ეს და სასტიკი ღონისძიებანი ეხმარა მათ წინააღმდეგო. სამოსამართლო საქმეებშიაც გარეულა მილანი და ეს მის მომხრე გაზეთებსაც არ მოსწონთ; ასეთი საქციელი მილანისა ნდობას დაუკარგავს სასამართლოს ქვეყნის თვალშიო, — ამბობენ ხსენებული გაზეთები. ჯერ ერთი, რომ მილანს ისეთი მოწმეები დაუსახელებია, რომელთა პატიოსნება საეჭვოდ მიაჩნიათ თურმე; მეორეც კიდევ, სასამართლო სამის წევრისაგან შესდგება, რომელნიც წინად პრეფექტებად ყოფილან და ცუდი სახელი დაუტოვებიათ ხალხში. ის დარბაზი, სადაც საქმე უნდა გაირჩეს, ისე პატარა ყოფილა, რომ დაიტევს მხოლოდ მოსამართლეებს, ბრალდებულთ, მოწმეთ, დამცველთ და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, რომელთა შორის სერბიული ენა ისე არც ერთს არ სცოდნია, რომ საქმის გარჩევას თვალ ყური ადევნოს. ჟურნალ-გაზეთებს, რომელნიც მთავრობის წინააღმდეგ კრიტიკას დასძრავენ, სასტიკად სდევნიან. მრავალი უცხო ქვეყნის გაზეთების კორესპონდენტი განუდევნია მთავრობას სერბიიდგან. აგრეთვე განუდევნია ჩერნოგორელები, რომელნიც ბელგრადის უმაღლესს სასწავლებელში სწავლობდნენ.

**კრიტი.** გაზეთების სიტყვით, კავკასიაში მცხოვრებ ბერძნებს შეამდგომლობა აღუძრავთ სადაც ჯერ არს, რომ ნება მოგვეცით კრიტში გადავსახლდეთ და იმ ადგილ-მამულებით ვისარგებლოთ, რომლებიც ცარიელები დარჩა მაჰმადიანების გადასახლების შემდეგო. გიორგი ბატონიშვილს საბჭო მიუწვევია ამ თხოვნის განსახილველად, და, როგორც ჰფიქრობენ, შეწყნარებულ იქმნება იგი. პირველად 5000 კაცს მიეცემა ნება კუნძულზე დასახლებისაო, — ამბობენ, — რომელთაც მთავრობის თავდებობით კრიტის ბანკი სესხს მისცემსო იმ ფერმების სასყიდლად, რომლებიც მაჰმადიანებმა მიატოვესო.

**იტალია.** იტალიის მთავრობას განუზრახავს ხელ ახლა აღძრას ჩინეთის მთავრობასთან მოლაპარაკება სანმუნის ნავთ-სადგურის დათმობის შესახებ. რათა დაკმაყოფილებულ იქმნას ჩინეთის მხრით იტალიის წარმომადგენლის მოთხოვნილება პეკინში, თავისი ესკადრის გასაძლიერებლად ჩინეთის წყლებში, იტალია კიდევ ორ სამხედრო გემს — „Ligurio"-სა და „Carlo Alberto"-ს გაგზავნის აპირებს თურმე.

---

შეიძლება ძველადაც ყოფილიყვნენ. ლეონტი მროველმა აღწერა წმ. არჩილ მეფის († 718 წ.) ცხოვრება. ქორიუნი თუ კირიონია, მაშინ ვიცით, რომ ამან დაამხო ცურტავის ეპისკოპოსი მოსე ერთბუნებოვანთა სწავლის მიღებისათვის.

ყველა ამისგამო „ბდეშხის აშუშას თანამედროვე ქართველთა მეფე იყო არჩილიო" მხოლოდ იმას გვეუბნება, ჩვენის ფიქრით, რომ ეს არჩილი ყოფილა არჩილ II (668—718 წ.)

და მეცნიერებიც ამას ამბობენ, რომ ქორენელი უნდა იყოს მე VII საუკუნის დამლევის და მე VIII ს. დამდეგის მწერალიო. ნიკო მარრიც ამასვე ამტკიცებს მეათე საუკუნის ქართულის წყაროების შემწეობით *).

ქორენელის დროის აღნიშვნა ჩვენთვის საჭირო იყო იმისთვის, რომ იგი გვემოწმა შესახებ კითხვისა, თუ მესროფის დროს რომელი ენიდამ ითარგმნებოდა წიგნები ქართულად და სომხურად.

ქორენელი, როგორც ვსთქვით, სწერს: „მესროფმა დჩახის დახმარებით ქართველებსაც შეუწყო ანბანიო ეს დჩახი იყო მთარგმნელი ბერძნულიდამა და სომხურ ენიდამო" (გვ. 211).

„მერუჟანმაო, განაგრძობს ქორენელი, გადასწვა ყველა ბერძნული წიგნები, რომელიც კი იყო ჩვენს ქვეყანაში. და შემდეგში, სომხეთის გაყოფის მერმეთ, სპარსთა მმართველნი თავის ნაწილს სომხეთში აღარავის ნებას აღარ აძლევდენ ესწავლათ ბერძნული, თვინიერ მხოლოდ არაბულის ენისა" (გვ. 211). ამიტომაც, რადგან ბერძნული ტექსტი არ იყო, საკი (მე IV ს.) სთარგმნიდაო ასურულიდამ (იქვე).

რას გვეუბნება ყველა ეს? გვეუბნება იმას, რომ

ა) ქართველებს ძველადვე გაწყობილი ჰქონიათ მწერლობა, წყაროდ თარგმნისა ჰქონიათ ჯერ ბერძნული ენა და მერე სომხური (ასურული?).

ბ) სომხებს დასაწყისშივე მერუჟანისა და სპარსელების წყალობით დაშრეტიათ უმთავრესი წყარო თარგმანისა—ბერძნული ენა, და დაშთენიათ მხოლოდ ასურული.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მაშინ მსოფლიოს ენად ითვლებოდა ბერძნული, რომ ეს ენა იყო უმთავრესი და უპირველესი წყარო ღვთისმეტყველებისა და საღმრთო წერილისა საზოგადოდ, უნდა ვიფიქროთ, მერუჟანის საქციელი და სპარსთა მარზპანების განკარგულება დააკნინებდა სომხურს მწერლობას?

ამიტომაც, შეიძლება დავდოთ მოსაზრება, რომ ამ დროს სომხის მწერლები ნება უნებურად შეისწავლიდნენ ქართულს მწერლობასაც, რადგან აქ უმთავრესი აკადული, როგორც აღნიშნავს თვით მ. ქორენელი, ბერძულ წყაროდამ შემოდიოდა. და რომ მართლაც ეს ასე იყო, რომ სომხის მწერლები სწავლობდნენ ქართველთა ცხოვრებას, ამის საბუთად იმავე ქორენელის ისტორიაა. იგი სწერს: ,,ალბად პირველნი ჩამომავლობდენ ჩვენთა პირველთა მეფეთაგან მსგავსად იმისა, ვითარცა დღეს ივერიაში ვხედავთ „სეფეწულებს" (გვ. 83).

მ. ქორენელის ისტორიის კითხვის დროს ყოველთვის გვებადება აზრი: რისთვის დასწერა მან ეს ,,ისტორია"? და იმ საგონებელს ვეძლევით, რომ მოსე ქორენელი იყო დამსწრე ქართველთა და სომეხთა ეკკლესიის შორის გამწვავებულ ბრძოლისა. ეს ბრძოლა მას საკეთილოდ არ მიაჩნდა ორთავე მეზობელ ერისათვის. მათ შესარიგებლად და სიმწვავის დასაცხრობად აიღო კალამი და დასწერა, რომ ძველიდგანვე ჰაოს-ქართლოსი ერთად, ძმურად, სცხოვრობდნენო, ერთად იბრძოდნენო, სეფეწულობა ერთნაირი ჰქონდათო, ეკლესიაც ერთი იყოო, ანბანიც ერთად გაიწყესო, წიგნებსაც ერთმანეთისაგან სთარგმნიდნენო, კათოლიკოსობაც ერთი ჰქონდათო, და ახლა რა დაგვემართა, რომ ვიბრძვითო!

თვით მ. ქორენელი უნდა ყოფილიყო ქართველობის მომხრე და წინააღმდეგი სომეხთა მწვალებლობისა. ასრე ვფიქრობთ იმიტომ, რომ იგი თავის ისტორიის უკანასკნელს ,,თავში" იგლოვს სომხეთის დამხობას ამ სიტყვებით:

მშობლებმა ბიზანტიას გამგზავნეს განსავითარებლადო, ჩემს დაბრუნებას მოელოდნენ და ჩემის მრავალმხრივ ცოდნითა და განვითარებით ამაყობდენ. ვისწავლე და... დავბრუნდი. გარნა მშობლები დახოცილები დამხვდა, მამულიც დამხობილი. ვილა დააფასებს ჩვენს განათლებას? ვილა დააღემებს იმათ სილირფეს, რომელნიც წინააღუდგნენ გონიერს სწავლას, რომელნიც, რახან არა აქვთ თავსა შორის თვისსა სიმტკიცე და შეურყევლობა, მარადის იცვლიან მასწავლებელთაცა და წიგნთაც?

შემდეგ ასრე ამხილებს სომხის მოთავე კაცებს:

„მასწავლებელნი სულელნი, თავისა თვისისა კმაყოფილნი, პატივის მიმთვისებელნი და არა მოწოდებულნი ღვთისაგან, აღრჩეულნი ოქროს მეოხებით და არა სულის წმიდით; ვეცხლ მოყვარენი, შურიანნი, სიმშვიდის დამტოვებელნი, შექმნილნი მგლებად, მაოხრებელად ცხოვართა!

„მონაზონნი მოპირფერე, მკვეხარა, ცრუმედიდურნი, პატივის მოყვარენი უფრო, ვიდრე ღვთისა!

„ეკლესიათა მსახურნი ამაყნი, სხვათა დასაგმობად სწრაფნი, ამაოდ მეტყველნი, ზარმაცნი... მოწაფენი სწავლაში ზარმაცნი, სხვათა საქადაგოდ სწრაფნი. თეორიის სწავლის უწინარესვე ღვთისმეტყველნი.

„ერი ზვავი, გაუგონარი, დიდმეთქვი, უქმობის მოყვარე, დამცინავი, ბოროტმყოფელი, რომელი გაურბის სასულიერო ღირსებას.

„მეომარნი უსამართლონი, მოუთმინარნი, ტრაბახნი, თვისი წოდების არ მოყვარენი, ზარმაცნი, გაყვინიზებულნი, მოუთმინარნი, მძარცველნი—ღირსეულნი ამხანაკნი ავაზაკთა!

„თავადნი მაშფოთარნი, ამხანაგნი ავაზაკთა, მტაცებელნი, ძუნწნი, გაუმაძღარნი, მძარცველნი, გამაოხრებელნი, უზნეონი, თვისთა მონათა თანამზრახველნი!

„მსაჯულნი უდიერნი, მატყუარანი, მექრთამენი, კანონთა უყვარულნი, არა მტკიცენი, მოყვარენი დავა-დარაბისა.

„ყოველნი საზოგადოდ მოკლებულნი არიან სიყვარულსა და სირცხვილს"!

მე VII—VIII საუკუნის მწერალი მ. ქორენელი ასრე ამხილებს სომხის თავ კაცებს და მათ მასწავლებლებს მგლებს ადარებს. თუ ქორენელი სომეხთა „მწვალებლობის" თანაზიარი ყოფილიყო, ვეჭვობ, ასრე შეურაცხ ეყო მასწავლებელნი, ე. ი. სამღვდელოება კათოლიკოზითურთ. ასეთი მხილება შეჰფერის „მართლმადიდებელს". ქვემო წარმოვადგენთ ამგვარ მხილებას საქართველოს კათალიკოზის არსენისას (მე X ს.), რომელიც დიდად ჰგმობს სომეხთა სამღვდელოების შეცდომას და პეტროს მკაწვრელს და სომეხთა მწვალებლობის შემომღებს მგლად სთვლის.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) წ. მარრი, Изъ поѣздки на Аѳонъ, გვ. 17—18.

# თეატრის მატიანე

შექსპირის ტიპებ შორის—„ოტელლო“ ერთი უმარტივესთაგანია. უმარტივესია იმ მხრით, რომ ტრაგედიის ის ქვა კუთხედი გნება სიყვარულისა და ეჭვისა, რომელზედაც ტრაგედიაა დაფუძნებული, თვალნათლივად და ლარივით არის გასისწორებული. ამის გამო ოტელლოს ბუნების შეგნება უფრო ადვილია, ვიდრე სხვა გმირთა ბუნებისა.

ამით იმას როდი ვამბობთ, რომ ოტელლო ადვილი შესასრულებელი იყოს. სიმარტივესთან ოტელლოში არტისტისათვის არის მეტად რთული რამ და ეს გახლავთ ყოველ მხრივად გათვალისწინება და აღბეჭდვა მრავალ-ტანჯულის ზანგის სულის კვეოებათა, რომელთა აღსნა-გარდმოცემა ჰსაჭიროებს არტისტისაგან მეტად მგრძნობიარე ბუნებასა.

ჩვენი აზრი დ-ლსკის შესახებ (ჰამლეტის როლში), რომ მის ტემპერამენტს აკლია მგზნებარება—ოტელლოს ასრულებამ სრულიად გაამართლა. გუშინ დალსკის რომ ვუყურებდით და ვუსმენდით, აკაკის „მწუხრი“ გვაგონდებოდა. ამ ლექსში მშვენიერად არის დასურათებული განსხვავება პოეტსა და მოშაირეს შორის და ამისათვის აკაკი ადარებს ბულბულის სტვენას საკრავ მანქანის ხმასა. დალსკიც იმ მანქანას მოგვაგონებდა, რომელიც ბულბულის მზგავსად უსტვენდა, მაგრამ შიგ არც სული იყო, არც გული. არტისტს შეეგნო ოტელლოს გვემა ტანჯვანი, მაგრამ მისგან გარდმოცემას აკლდა ღვთიური ნაპერწკალი,—რომელიც მსმენელს სხეულში ჟრუანტელსა ჰგვრის ხოლმე. მხოლოდ თვალსაჩინო იყო მესამე მოქმედების ის სცენა, როდესაც იაგო პირველად იჭვიანობის შხამს აწვეთებს ოტელლოს გულში. არტისტმა ხელოვნურად აღბეჭდა ის სულიერი მოძრაობა ოტელლოსი, რომელსაც იწვევს იაგოს სიტყვები. არტისტს უკანასკნელ მოქმედებაშივე ხმა აღარ შერჩა. ამ მოქმედებაში ძალიან სუსტი იყო.

იაგო (ბ-ნი ვადიმოვი) სრულიად გამოუცდელი გახლდათ და რაც შეეძლო ჰყვიროდა, განსაკუთრებით მონოლოგების დასასრულს. ოდნავადაც ვერ დაახლოვებოდა იგი იაგოს ველურ-შხამიანს ხასიათს.

კასიო ბ-ნი დავმაროვი მოგვაგონებდა უსადილოდ დატოვებულ მოწაფეს; გრიმიც ისეთი ჰქონდა და მიმოხვრაც.

დეზდემონას (ქ-ნი ტანკოვი) არა უშავდა-რა.

საზოგადოება ნაკლებად დაესწრო წარმოდგენას.

ინენ.

## დააკვირდი

შური, ტყუილი და ორპირობა თავი არს ყოვლისა უბედურობისა.

ფილოსოფი პლატონ

***

პურის გატეხვით მეგობარს იძენენ და პურისავე გატეხვით ძმა ძმისაგან იყრება.

ლასურიძე

***

მლიქვნელი ამისთვის სჯობს ყორანსა, რამეთუ ესე მრთელსა სჭამს, ხოლო იგი მკვდარსა.

საეკლ. მეზ. № 153

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ცნობილმა მეცნიერმა და ჰაერონავტით მოსიარულემ სტენლეი სპენსერმა ერთს სპეციალურ ჟურნალში საყურადღებო წერილი დაჰბეჭდა. სპენსერი ამ წერილში ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთ პოლიუსამდე კაცს მხოლოდ ჰაერონავტით შეუძლიან მივიდესო, მხოლოდ ეს ჰაერონავტი იმოდენა უნდა იყოს, რომ სამ კაცს თავისუფლად შეეძლოს მოთავსება და ამას გარდა ეტეოდეს სამი მარხილი და რამდენიმე ძაღლიო. თუ ქარმა ხელი შეუწყო, ჩრდილოეთ პოლიუსამდე, ამბობს სპენსერი, 20 საათის განმავლობაში შეიძლება მისვლა. მისვლა-კი არ არის ძნელი, იქიდგან წამოსვლაა და აი მარხილები და ძაღლები სწორედ მაშინ არის საჭიროო.

***

ერთი რიგელი მსწავლული ამზადებს თურმე ახალ საფრენ მანქანას. მანქანა ბამბუკისა და ფოლადისაგან იქმნება გაკეთებული; სიმძიმით სამ ფუთს არ უნდა აღემატოს. მანქანას ფრთები ექმნება მობმული, რომლებიც მოძრაობაში უნდა მოიყვანოს ელექტრო-ბენზინის პატარა მოძრავმა მანქანამ. ასეთის მანქანის შემწეობით მხოლოდ ერთს კაცს შეეძლება ფრენა.

***

ბევრის შრომისა და მუშაობისაგან მარტო ცოცხალი არსება, სულდგმული არ იღლება და მარტო ამათთვის არ არის ხოლმე საჭირო შესვენება. როგორც მეცნიერთ ამ უკანასკნელ დროს გამოიკვლიეს, დაღალვა უსულო არსებას, როგორც, მაგალითად, ლითონსაც, სცოდნია. ჯერ ისევ ამ ოცდა-ათის წლის წინად შესანიშნავი ფიზიკოსი ლორდ კელვინი,—დღეს სერ უილიამ ტომსონი,—ამტკიცებდა, რომ მავთული, რომლის შემწეობითაც დეპეშებსა ჰგზავნიან, დიდს მუშაობაშია, მალე იღლება და დეპეშები ისე ველარ გადააქვს, როგორც წინად. შემჩნეულია, მაგალითად, რომ მავთული დეპეშას ორშაბათობით უფრო კარგად გადასცემს ხოლმე, ვიდრე შუა კვირაში, რადგანაც წინა დღეს, კვირას, ისვენებს და დეპეშებს არა ჰგზავნის. თუ სამი კვირა შეასვენეთ, მაშინ გადაცემის უნარი 10% ემატება.

***

დღემდის ზოგიერთ შემთხვევაში ექიმებს ძალიან უჭირდათ ხოლმე იმის გაგება, ავადმყოფს ქარები სჭირს, თუ სხვა რამ ავადმყოფობა, მაგალითად სისუსტე, რომელიც ხშირად ქარებივით ტანში სტეხავს ხოლმე. ეხლა, როგორც ფრანგი ექიმები ობენი და ბარტელემი იუწყებიან, რენტგენის სხივების შემწეობით სულ უბრალო საქმეა იმის გაგება და შეტყობა, კაცს ქარები სჭირს, თუ ისე სისუსტის გამო ტანში სტეხავს. რენტგენის სხივების შემწეობით მოხუცებულთა და ახალგაზდათა ხელებისა და ფეხებიდგან გადაღებული ფოტოგრაფიული სურათი ნათლად ამტკიცებს თურმე, რომელია მათგანი ქარებიანი და რომელს მხოლოდ სტეხავს.

***

19 (31) ივლისს ორი ინგლისელი,—პოლლოკი და ერთიც სხვა, ლონდონის მახლობლად, ნაშუადღევის 2 საათზედ, ჰაერონავტში ჩასხდნენ და ჰაერში აფრინდნენ. $4\frac{1}{2}$ საათზედ ქალაქებს გენსტიგსისა და სენ-ლეონარდას მახლობლად ზღვა დაინახეს და, რადგანაც საკმაო ბალასტი ჰქონდათ თან, გადასწყვიტეს ზღვას გადავფრინდეთ და საფრანგეთში მივიდეთო. ამინდი სამაგალითო იდგა; ჰაერონავტი ამ დროს 7 ათას ფუტის *) სიმაღლეზედ იყო. ოდნავი ქარი სწორედ საფრანგეთის ნაპირისაკენ მიერეკებოდა ჰაერონავტს. პოლლოკმა და იმის ამხანაგმა გადმოაგდეს ერთი ტომარა ბალასტი და ჰაერონავტი 9 ათას ფუტის სიმაღლეზედ ავიდა. ამავე დროს ნორმანდიის ნაპირებიც გამოჩნდა. 7 საათზედ ერთი ტომარა კიდევ გადააგდეს, ჰაერონავტი 11,000 ფუტის სიმაღლეზედ ავიდა, მაგრამ ნაპირისაკენ ძალიან ნელ-ნელა მიდიოდა. ამ გარემოებამ გამბედავი მოგზაურნი ცოტა არ იყოს დააფიქრა. 7 საათსა და 35 წუთს უკანასკნელი ტომარა გადმოაგდეს, მაგრამ ჰაერონავტი ნაპირისაკენ მაინც არ წავიდა პირ-იქით, ძირს დაეშვა და პირდაპირ ზღვისაკენ გაქანდა. მოგზაურნი მეტად შეშფოთდნენ, როდესაც ჰაერონავტი 5000 ფუტის სიმაღლემდე დაეშვა, ნაპირი-კი ჯერ კიდევ შორს იყო. აშკარა იყო, რომ ჰაერონავტი ზღვაში აპირებდა ჩაბრძანებას. მოგზაურთ, რაცა ჰქონდათ, სუყველაფერი გადმოყარეს, მაგრამ მაინც საქმეს ვერაფერი უშველეს. ბოლოს, რომ ველარაფერი გაწყეს, ჰაერონავტს მოაჭრეს ღუზა, რომელიც სამ ფუთს იწონიდა. რაკი ეს სიმძიმე მოაშორეს ჰაერონავტი საოცარის სისწრაფით ავარდა ზევით და 12,000 ფუტის სიმაღლემდე ავიდა. როდესაც 7 საათსა და 55 წუთს ჰაერონავტი ძირს დაეშვა, მოგზაურთ დაინახეს, რომ ზღვას განშორდნენ და ქვეით მიწა მოჩანდა. ამავე დროს ჰაიდროპი (დიდი თოკია, ჰაერონავტზედ მობმული, რომელიც ძირს დასთრევს) ხეებს მოედო და ჰაერონავტი დედამიწაზედ დაეშვა. იმ ადგილას, სადაც ჰაერონავტი დაეშვა, რამდენსამე ათასს სოფლელს მოეყარა თავი.

*) ფუტი—საჟენის მეშვიდედა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ივლისი.

**პარიჟი.** ვექილებმა დემანჟმა და ლაბორიმ განაცხადეს, რომ გუშინდელის დღით კმაყოფილი ვართო. გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ გარემოებას, რომ ცხრა ახალი მოწმე იქმნა დაბარებული.

**რენნი.** დღეს იგივე ზომები იქმნება მიღებული, რაც გუშინ. $6\frac{1}{2}$ საათზედ დარბაზში შეიკრიბნენ სასამართლოს ყველა წევრები, დრეიფუსის ვექილები—დემანჟი, ლაბორი და გილდი, თვით დრეიფუსი და შანუანი, რომელმაც რენნში dossier-ი მოიტანა.

**რენნი.** სასამართლოს კრებამ დილის 6 საათსა და 30 წუთიდგან 11 საათსა და 45 წუთამდე გასტანა, ხალხის დაუსწრებლად. დაესწრნენ მხოლოდ დრეიფუსი, იმისი დამცველნი და სასამართლოს წევრნი. კრება dossier-ის განხილვას მოუნდა. კრება ხვალამდე იქმნა გადადებული.

28 ივლისი

**რენნი.** დღევანდელ კრებაზე სამხედრო სასამართლო გაეცნო dossier-ის ერთს ნაწილს.

დრეიფუსის მდგომარეობა ჯანსაღობის მხრივ, როგორც ისმის, აწუხებს იმის სახლობას: ის რძის მეტს სხვა საჭმელს არ ხმარობს.

**პარიჟი.** კომორის კუნძულებზე არეულობა ასტყდა.

**მადრიდი.** ტორალი გამართლებულ და განთავისუფლებულ იქმნა.

**მადრიდი.** რესპუბლიკანელთა დასი კასტელიონში სატუსაღოსთან მივიდა და კვირას მომხდენელ ურწესოების განთავისუფლებას თხოულობდა. სატუსაღოს დარაჯნი ჰაერში ისროდნენ. ჯარები ჩაერივნენ და ბრბო განფანტეს. საყოველთაოდ მღელვარება სუფევს.


# განცხადებანი

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მააბრეშუმეთა ზირველ ამხანაგობისა ისყიდება ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; ყვირილაში—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; ბათუმში—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); სამტრედიაში—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. კუხში—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—ნ.—13) ნ. წერეთელი

ისყიდება ახალი წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ავტორთან ქ. სიღნაღში.

ОПЫТЪ
ГРУЗИНО-РУССКАГО
СЛОВАРЯ
для начальныхъ училищъ
К. БАГАЕВА
ფასი 50 კ. (15—4)

ფრთხილად!

ჩვენ გამოცემული გვაქვს საუკეთესო
## პაპიროზის ქაღალდები
ყაზბეგისა და მამია გურიელის სახეების ზედ გამოხატვით.
მათი ყალბი მიმსგავსება უკვე გამოვიდა.
## სიყალბეს ერიდეთ!
სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები“, ქუთაისი.
(10—4)

ფრთხილად!

## გამოვიდა მესამე წიგნი

ივანე როსტომაშვილის რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონისა ასო B (ვიწზე).

წიგნში შეტანილია მთელი სტატიები შემდეგ საგნებზედ: Вавилонія, Вавил.плѣненіе,—столпотвореніе, Ваганъ Мамиконянъ, Вагаршакъ I, II, Вагаршапатъ, Ваггабиты, Вагинизмъ, Вагонъ, Важсская грамота, Вазаская губ., Ваке, Вакуфъ, Вакханалія, Валаамъ, Валахи, Валашкертъ, Валдай, Вале, Валезіане, Валенсія, Валка лѣса (ხე-ტყის მოჭრა), Валленштейнъ, Валлисъ, Валлонстрана, Валтасаръ, Валуевы, Валунъ, Валухъ, Вальвація, Вальденсы, Вальдшнепъ, Вальпургіева ночь (ნემეცური ქიაკოკონა), Вальцы, Вамбери, Вампиръ, Ванати, Вандалы, Вандея, Ваниль,Варрантъ, Варухъ, Варшава, Варшав. губ.,—трактатъ,—велик. герцогство,—вѣнская жел. дорога, Варъ, Варяги, Варѳол. ночь, Васакъ Сюнскій, Басилискъ, Василій Блаженный,—Великій, Васильчиковъ, Васко де Гама, Вассаль (მეჩიჩოსების მომშენებელი რუსეთში), Вата, Ватиканъ, Ватъ-Тайлеръ, Вахваховы, Вахтангъ I, II, III, IV, V, VI, Вахуштъ, Вачнадзевы, Вашингтонъ, Ваяніе, Введеніе во храмъ, Вдова, Вегетаріанство, Ведень, Веджини, Везировы, Везувій, Веймутова сосна, Вели, Велизарій, Великанъ, Великая Бухарія,—Греція, камен. стѣна,—княжна,—княгиня, Великая хартія вольностей, Великій князь, Великоанадольское степн. лѣсничество, Великобританія, Великокняжескія монеты, Велисъ-цихе, Величина животн.,—растеній, Величка, Величко, Веліо Велингтонія,—нъ, Велосипедъ, Вельгавенъ, Вельпо, Венгерка (ქანჭური), Венгрія, Венера, Венерич. болѣзни, Венеція, Вентиляторы, Вера и Верійское ущелье, Верблюдъ, Вербовка, Вергеландъ, Верди, Верещагинъ, Вермишель, Версаль, Вертушка, Вертячка (რეტი), Верхняя Карталинія,—Палата-Веске (ფინნების ენათა მკვლევარი), Весен. работы въ сельск. и лѣсн. хоз., Веспасіанъ, Вессель, Веста и Весмалка, Вестготы, Вестминстеръ, Вестфалія, Вестъ-Индія, Ветерин. институты и школы, Ветлян. станица, Ветхій завѣтъ,—человѣкъ, Ветчина, Вечерня, Вешняковъ, Вещевое довольствіе, Взрывчатія вещества, Взятокъ пчелъ, Вивсюгъ (საკვები ბალახი), Вигандъ (ბოტანიკოსი), Вишлянцій (მღვდელი), Вигонъ, Видукиндъ, Византія, Вика (ქვიშნა), Викарій, Виклефиты, Викторіанскія дни, Вильгельмъ I, II,—Завоеватель,—Тель, Вильно, Вино, Винодѣліе, болѣзни вина и винограда и лѣченіе ихъ, Виргилій, Вирховъ, Висраміани, Виссаріонъ Никейскій, Висячій мостъ, Витализмъ, Витебскъ, Виттова пляска, Вихрей, Вишня, Виѳлеемъ, Владикавказъ, Владик. жел. дорога, Владиміръ, Влахерна, Вогормацъ, Ашотъ, Вогуличи, Вода, Водка, Водная культура, Водовладѣніе, Водолеченіе, Водоудерж. платина, Водянка, Воеводскій, Военная администрація,—географія и стетистика,—исторія,—контрабанда,—медицина,—хитрость,—груз. дорога,—духовенство,—искуство,—краснорѣчіе,—положеніе,—ветеринары,—исправит. роты,—плѣнный,—судебн. вѣдомство,—уголовные уставы,—учебн. заведднія, Воздухъ, Воздушн. шаръ, Возліяніе, Возложеніе рукъ, Возмужалость, Вознагражденіе за вредъ и убытки,—неправильно привлеченныхъ къ уголоному суду и невинно осужденныхъ, Воздвиженіе креста, Вознесеніе Господне, Возобновленіе лѣса,—судебныхъ дѣлъ, Возрастъ въ уголовномъ правѣ,—домашныхъ животныхъ, Войнская повинность (წესდებით), Войлочн. болѣзнь винограда и деревьевъ, Волга, Волкъ и средство къ его истребленію, Волосные сосуды, Волхвы, Волчанка, Волчецъ, Волъ, Вольн. эконом. общество, Вольноопредѣляющіеся, Вольтеръ (დიდებული მწერალი XVIII ს.), Воплощеніе, Ворона и воронъ, Воронцовы, Воровство пчелиное, Восковыя деревья, Воскресеніе I. X.,—мертвыхъ, Воскресный отдыхъ, Воскресныя и Вечерныя школы, Воскр. и вечерн. курсы и классы, Воскъ, Воспитаніе, Воспитательные дома, Воспоръ, Восприемники, Востоковъ, Восточная война,—Церковь,—вопросъ,—Туркестанъ,—факультетъ,—монеты, Вотяки, Вощина, Врожденный, Вселенскіе соборы, Всемірный потопъ,—языкъ, Всеподданнѣйшія прошенія и жалобы, Вскармливаніе ребенка, Вскрытіе тѣла,—венъ, Всходы, Всхожесть сѣмянъ, Второе пришествіе I. X., Второзаконіе, Второй спасъ, Вулканизмъ, Входъ въ Іерусалимъ, Выходъ, Выборгъ, Выборное право, Выдра, Выемка меда, Выжиганіе по дереву, Выздоровленіе, Вызовъ въ судъ, Выкидышъ, Вырестъ і рыбы, Вырожденіе, Высиживаніе яицъ, Выставка пчелъ, Высыпане зерна, Вѣна, Вѣнецъ, Вѣнчаніе, Вяленіе картофеля, Вятка, და სხვა მრავალი წვრილი სტატია და განმარტება უცხო და ჩვეულებრივ სიტყვათა (ორი ათასზე მეტი სიტყვაა განმარტებული). ყოველივე ეს ახსნილი და განმარტებულია ყველასათვის ადვილ-გასაგების ქართულის ენით, რის გამოც ჩვენი ენციკლოპედიური ლექსიკონი შეადგენს უკეთესს სახელმძღვანელოს საენციკლოპედიო სწავლა-განათლებისათვის, რომელიც ერთად-ერთი ძალაა ხალხში მიმალულის ნიჭის აღორძინებისა და განვითარებისათვის, რადგანაც ენციკლოპედია გააცნობს კაცს ბევრს ისეთს საგანს, რომელთ არსებობას იგი იქნება არც-კი მოელოდა.

სულ გამოვა 15 წიგნი (თითო ორას-გვერდიანი) და ეღირება მხოლოდ **12 მანეთი**, რომელიც ხელის-მომწერს შეუძლიან ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს: პირველად **სამი მანეთი** (ამაში გაეგზავნება სამი უკვე გამოსული წიგნი), ხოლო დანარჩენი **ორ-ორ მანეთობით** ყოველ შემდეგ ახალ წიგნის მიღების დროს. მეოთხე წიგნი (ასო Г-ზე) გამოვა ამ წლის დასასრულს.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили. (3—104—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 28 го Іюля 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.